# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №3/51 CPV 79995100

(„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მომსახურების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით)

ქ. თბილისი 31 მაისი, 2017წ.

ერთის მხრივ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად"), წარმოდგენილი კანცლერის, ზურაბ ორჯონიკიძის სახით და მეორეს მხრივ სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივი" (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად"), წამოდგენილი ეროვნული არქივის დაწესებულებების დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილების უფროსის, ნოდარ მამალაძის სახით, ვდებთ ამ ხელშეკრულებას (საფუძველი თსსუ-ს არქივის უფროსის ნანა კალანდაძის მოხსენებითი ბარათი, კანცელარიის ნომერი #1143 22.05 .2017 წ); შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, თსსუ-ს არქივის დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუსავება რომელიც, საჭიროების გათვალისწინებით,მოიცავს:

ა. დოკუმენტებისა და საქმეების მოწესრიგებისას შედგენილი გეგმის მიხედვით, საქმეების სისტემატიზაცია წლების და სტრუქტურული ნაწილების მიხედვით;

**ბ.** დოკუმენტების სამეცნიერო და პრაქტიკული ექსპერტიზა;

**გ.** საქმის ფორმირებას, საქმეში ფურცლების სისტემატიზაცია, საბუთების შედგენა, საქმეების შეკერვა და ფურცლების ნუმერაცია;

**დ.** ყდების გაფორმება, დამოწმებული ფურცლების ჩაწებება, შესანახ საქმეთა სისტემატიზაცია, საქმეებისა და დოკუმენტების გასანადგურებლად გამოყოფა და აქტის შედგენა.

**ე.** მიმწოდებლის მიერ დაბეჭდილი ანაწერების შეჯერება, შენაკრავების განლაგება სათანადო წესის მიხედვით და სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებასთან დაკავშირებული სხვა მომსახუებები.

## 2. მომსახურების გაწევის წესი და ღირებულება

2.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, მოსაკრებლებს და სხვა.

2.3. წინამდებარე ხელშეკრულების საერთო საბოლოო ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ფარგლებში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის/აქტების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს წინამდებარე ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულებისა.

2.4. მომსახურების ღირებულების გაანგარიშებისას გამოიყენება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოპდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის № 506 დადგენილება.

## 3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურების გაწევა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ „შემსყიდველის" და „მიმწოდებლის" საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

3.2 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს შემსყიდველის მხრიდან წარმოადგენს თსსუ-ს არქივის უფროსი ნანა კალანდაძე.

3.3 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს მიმწოდებლის მხრიდან წარმოადგენს დაწესებულებების დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილების უფროსი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

## 4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

4.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ეტაპობრივად ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესახებ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის/საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2 ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ განხორციელდება საანგარიშო ანგარიშ-ფაქტურის და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.3 თუკი, ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება ხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების გაწევაზე.
5.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:
5.2.1 დროულად უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.
5.2.2 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
5.2.3 უზრუნველყოს მიმწოდებელი აუცილებელი მასალით (საქმეთა ყდები, ქაღალდი, წებო, კანაფი, ძაფი და სხვა);
5.2.4 უზრუნველყოს მიმწოდებელისათვის სამუშაო ოთახის გამოყოფა და შეუქმნას შესაბამისი სამუშაო პირობები.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია:
5.3.1 გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 2017 წლის 01 ნოემბრის ჩათვლით.
5.3.2 გაუწიოს შემსყიდველს უნაკლო და ხარისხიანი მომსახურება.
5.3.3 პასუხი აგოს გაწეული მომსახურების ხარისხზე.
5.3.4. უზრუნველყოს გაწეული მომსახურება დადგენილი პირობების შესაბამისად.

## 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.
6.3. საჯარიმო სანქცია არ ათავისუფლებს მიმწოდებელსა და შემსყიდველს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 7. ფორს-მაჟორი

7.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
7.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 9. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

მხარეებს შეუძლიათ ვადამდე შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება თუ აღმოჩნდა, რომ შემსყიდველი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების დროულად გადახდას;

ბ) შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში;
გ) წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წერილობითი ფორმით, წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე 10 სამუშაო დღით ადრე;
დ) წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საუფძველზე;
ე) წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## 10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე კონტროლს განახორციელებს თსსუ-ს არქივის უფროსი, ნანა კალანდაძე.
10.2 ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს მიმწოდებლის მხრიდან განახორციელებს დაწესებულებების დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილების უფროსი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

## 11. დამატებითი პირობები

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
11.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები და ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.
11.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ზიანს აყენებს მეორე მხარეს.
11.4. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.
11.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

## 12. დავათა განხილვის წესი

12.1 მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.
12.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, მეორე კი მიმწოდებელს.

## 13. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტი
ვაჟა ფშაველას გამზ.№33
საიდენტიფიკაციო ნომერი 211328703
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22
ა/ა GE24 NB 0330100200165022

"მიმწოდებელი"
სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი
ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას #1
ს/კ 211358957
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22
ა/ა № 707447080

თსსუ-ს კანცლერი
ზურაბ ორჯონიკიძე

---------------------------------------------------

სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივი"-ს
დაწესებულებების დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილების უფროსი
ნოდარ მამაცაშვილი

---------------------------------------------------